აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №1

აბაშა, 2026 წლის 25 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №1

აბაშა, 2026 წლის 25 თებერვალი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისია:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზ. ნოდია.

კომისიის წევრები: მ. კვიტაშვილი, ბ. შელია, რ. ქავთარაძე, ბ. ნადარაია და კ. ჩაჩავა.

სხდომას არ ესწრება კომისიის წევრები: ზ. კუპრეიშვილი და გ. მიგინეიშვილი.

დღის წესრიგი:

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ზ. ნოდია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარე ზ. ნოდიამ განმარტა, რომ კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 25 თებერვალს 15 საათსა და 30 წუთზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ
და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზ. ნოდია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია

აბაშა, 2026 წლის 25 თებერვალი

დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზ. ნოდიას აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, რათა საკითხი გატანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ
და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზ. ნოდია